საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010134605155618

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2066

23 / მარტი / 2018 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2018 წლის 12 მარტს №01/9479 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ 1994 წლის 1 ივლისს დადებული ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" პირობების საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე გავრცელების შესახებ" წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

შეთანხმების პროექტის სათაურიდან გამომდინარე, მის მხარეს წარმოადგენს „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია" (გაერო). ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული გარემოება მკაფიოდ აისახოს როგორც შეთანხმების პროექტის ტექსტში, ისე მასზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთან მიმართებით და, შესაბამისად, შეთანხმების პროექტის ფარგლებში განისაზღვროს, რომ ხელშეკრულების მხარეა „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია" (გაერო), წარმოდგენილი „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისის" (UNOPS)/შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

ამასთან, „ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" (SBAA) „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე" (UNOPS) გავრცელებასთან დაკავშირებით, დაზუსტებას საჭიროებს „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისის" (UNOPS) სამართლებრივი სტატუსი, მათ შორის, წარმოადგენს თუ არა ის „ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულებით" (SBAA) გათვალისწინებულ რომელიმე ორგანოს, მაგალითად, „აღმასრულებელი ორგანო", „დამხმარე ორგანო" და სხვ. შესაბამისად, თუ „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისი" (UNOPS), მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ავტომატურად ექცევა „SBAA"-ს გავრცელების სფეროში, მიზანშეწონილია, შეფასდეს მასზე „SBAA"-ს დამატებით ამ შეთანხმებით გავრცელების საკითხი. ასევე, მიზანშეწონილობის ჭრილში შეფასებას საჭიროებს „გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" კონვენციის „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე" (UNOPS) გავრცელების საკითხიც.

ამასთან, „გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ კონვენციის „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე“ (UNOPS) გავრცელების შემთხვევაში, ამ კონვენციით დადგენილი საგადასახადო შეღავათებიდან გამომდინარე, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წარმოდგენილი წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების პროექტი საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
პირველი მოადგილე

ალექსანდრე ზარამიძე

საქართველო

47287-01-2-201812041101

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/47287
04/12/2018

დასკვნა
"საქართველოსა და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ 1994 წლის 1 ივლისის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" პირობების საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისზე გავრცელების შესახებ" წერილების გაცვლის პროექტის თაობაზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა "საქართველოსა და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ 1994 წლის 1 ივლისის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" პირობების საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისზე გავრცელების შესახებ" წერილების გაცვლის პროექტი და ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

N 08-02/80131
20/06/2018

80131-08-02-2-201806201536

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

თქვენი 2018 წლის 12 მარტის N01/9479 წერილით წარმოდგენილ „საქართველოსა და გაერო-ს შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ 1994 წლის 1 ივლისს დადებული ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" პირობების საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე გავრცელების შესახებ" წერილების გაცვლის პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.

ამასთან, კომპეტენციის ფარგლებში, პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

გიორგი თინიკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

იურიდიული დეპარტამენტი

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

KA020101880394318

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/9222

21 / ნოემბერი / 2018 წ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს

საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 15 ნოემბრის № 01/45312 წერილის პასუხად

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტრომ განიხილა "საქართველოსა და გაერო-ს შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ 1994 წლის 1 ივლისს დადებული ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" პირობების საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე გავრცელების შესახებ" წერილების გაცვლის პროექტი და გაცნობებთ, რომ მის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გვაქვს.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მარიამ გაბუნია